დანართი-შეთანხმება №1

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ინდ. მეწარმე „კობა კაცაძე"-ს შორის 2015 წლის 6 მარტს დადებული №102 ხელშეკრულებაზე

ქ. ქუთაისი 7 აპრილი 2015 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონმდებლობისა და „მიმწოდებლის" საკონკურსო წინადადების საფუძველზე, საკონკურსო განაცხადი **№1475** კონკურსის ჩატარების შედეგად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ინდ. მეწარმე „კობა კაცაძე"-ს შორის, 2015 წლის 6 მარტს დაიდო №102 ხელშეკრულება 30000 (ოცდაათი ათასი) ლარზე, რომლითაც განსაზღვრულია ქალაქ ქუთაისში №№1,2,5,8,9,13,14,15,25 და 33 საბავშვო ბაღების შენობებზე მიშენების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (10 ობიექტი).

ინდ. მეწარმე „კობა კაცაძის" 2015 წლის 10 მარტის №03/001 (№01-1422, 10.03.2015 წ.) წერილის და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის 2015 წლის 1 აპრილის №01-91 (№01-2082, 06.04.2015 წ.) მომართვის საფუძველზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ №№2,8,9 ბაღებზე რიგი მიზეზების გამო მიშენებების გაკეთება მიზანშეწონილად არ ჩაითვალა და ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება"-სთან და საპროექტო ორგანიზაციასთან შეთანხმებით, ზემოთ აღნიშნული საბავშვო ბაღების ნაცვლად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული №№3,4,17 საბავშვო ბაღების შენობებზე მინაშენების დაპროექტება. ასევე მომსახურების გაწევის ვადა გაგრძელდეს 2015 წლის 4 მაისის ჩათვლით.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

ერთის მხრივ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ნოდარ მიქიაშვილის სახით (ქ. ქუთაისი 4600, შ. რუსთაველის გამზ. №3, ს/კ 212721170 ტელ: 24-10-24) (შემდგომში „შემსყიდველი").

მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე „კობა კაცაძე, (მისამართი: ქ. ბათუმი, გორგასლის ქ. №60, ტელ: 599 27 32 25, ს/კ 61002009692) (შემდგომში „მიმწოდებელი").

ვდებთ ამ შეთანხმებას შემდეგზე:

1. მხარეები თანხმდებიან, რომ 2015 წლის 6 მარტს დადებული №102 ხელშეკრულებით გათვალისწინებული დასაპროექტებელი ობიექტებიდან (№№1,2,5,8,9,13,14,15,25,33 საბავშვო ბაღები), ამოღებული იქნას №№2,8,9 ბაღები და აღნიშნული ბაღების ნაცვლად დაპროექტდეს №№3,4,17 საბავშვო ბაღების შენობებზე მინაშენები სახელშეკრულებო თანხის შეუცვლელად. (კორექტირებული დასაპროექტებელი ობიექტების ჩამონათვალის ფასების ცხრილი თან ერთვის).
2. მხარეები თანხმდებიან, რომ 2015 წლის 6 მარტს დადებული №102 ხელშეკრულებიის მე-5 მუხლის 5.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მიმწოდებელი" ვალდებულია მომსახურების გაწევა განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან 2015 წლის 4 მაისის ჩათვლით.
3. მხარეები თანხმდებიან, რომ 2015 წლის 6 მარტს დადებული №102 ხელშეკრულების მე–10 მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები გავრცელდება ამ დანართი შეთანხმების მეორე მუხლით განსაზღვრული პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში.
4. დანართი შეთანხმება №1 ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და წარმოადგენს 2015 წლის 6 მარტს დადებული №102 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

ნოდარ მიქიაშვილი	ინდ. მეწარმე „კობა კაცაძე"
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე	
(შემსყიდველი)	(მიმწოდებელი)

ფასების ცხრილი
(კორექტირებული)

№	ბაღის №	საკადასტრო კოდი	გასაწევის მომსახურების ღირებულება (ლარი)
1	№1	03.06.27.085	2400
2	№4	03.04.28.281	3400
3	№5	03.01.24.235	3700
4	№17	03.01.22.129	3800
5	№3	03.06.21.149	3300
6	№13	03.01.22.131	2800
7	№14	03.03.27.248	2200
8	№15	03.04.21.138	3000
9	№25	03.04.30.278	2000
10	№33	03.01.21.302	3400
	ჯამი		30000 ლარი

ინდ. მეწარმე „კობა კაცაძე“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის
განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა
და დასუფთავების სამსახური

№ 01-91
„1" 04 2015 წ.

4600, საქართველო, ქუთაისი, რეხთაფლის ბაღი №3
ტელ: (8995 331) 24-35-76

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერის პირველ მოადგილეს
ბატონ ნოდარ მიქიაშვილს

ბატონო ნოდარ,

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ი/მ „კობა კაცაძეს" შორის 2015 წლის 6 მარტს გაფორმებული №102 ხელშეკრულების საფუძველზე, იგეგმებოდა ქალაქში #1,2,5,8,9,13,14,15,25 და 33 საბავშვო ბაღების შენობებზე მინაშენების გაკეთება, რადგან #2, #8 და #9 ბაღებზე რიგი მიზეზების გამო მინაშენების გაკეთება მიზანშეწონილად არ ჩაითვალა, ასევე ქალაქ ქუთაისის ბაგა ბაღების გაერთიანებასთან და საპროექტო ორგანიზაციასთან შეთანხმებით ზემოაღნიშნული საბავშვო ბაღების ნაცვლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია დავაპროექტოთ #3, #4 და #17 საბავშვო ბაღების შენობებზე მინაშენები.

ასევე, ჩვენს სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია საპროექტო ორგანიზაციას პროექტების დამზადების ვადა გაუგრძელდეს 10 დღით - მ/წლის 4 მაისის ჩათვლით.

გთხოვთ, თქვენი თანხმობის შემთხვევაში, დაავალოთ საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურს გაუფორმოს დანართი-შეთანხმება სამუშაოს შესრულების ვადის გაგრძელებაზე, დავალება დაპროექტების და ფასების ცხრილის ცვლილებაზე.

პატივისცემით
მალხაზ ბასილაძე
სამსახურის უფროსი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის, ეკონომიკურ საკითხთა, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის, ეკოლოგიისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სამსახური
№ 540
06 04 2015 წ.

01-2082
06 04 15

საქართველო
აიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება“
GEORGIA
NNLE "Amalgamation of Kutaisi Public Nurseries"

N 30/02
"18" 03 2015 წ.

ქ.ნ.ლორთქიფანიძეს
18.03.2015

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის,
ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის უფროსს
ბატონ **მალხაზ ბასილაძეს**

ბატონო მალხაზ,

თქვენი წერილის (N 01-91 18/03/15) პასუხად გაცნობებთ, რომ ნაცვლად # 2, #8 და #9 ფილიალებისა, აუცილებლად მიგვაჩნია მინაშენის გაკეთება # 3, #4 და #17 ფილიალზე.

პატივისცემით,

აიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების
გაერთიანების“ დირექტორი ნ. ლორთქიფანიძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის,
ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახური
№ 01-91
18 03 2015 წ.

საქართველო, ქ. ქუთაისი, 4600, რუსთაველის გამზ N 3, ტელ: (0431) 25 37 01; 25 37 00; 568 91 58 04
N3 Rustaveli Ave., Kutaisi, 4600, Georgia; Tel: (0431) 25 37 01; 25 37 00; 568 91 58 04

ინდ. მეწარმე "კობა კაცაძე"

№03/001 10.03.2015

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
პირველ მოადგილეს ბატონ ნოდარ მიქიაშვილს

ი/მ.„კობა კაცაძე"-ს მთავარი არქიტექტორის მიხეილ კაკაურიძის
მისამართი: ბათუმი, გორგასლის ქუჩა №60
მობ: 599 27 32 25, 599 977559

ბატონო ნოდარ,

როგორც მოგეხსენებათ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურსა და ინდმეწარმე ,,კობა კაცაძე''–ს შორის 2015 წლის 6 მარტს გაფორმდა N102 ხელშეკრულება, ქალაქ ქუთაისში №№1,2,5,8,9,13,14,15,25 და 33 საბავშვო ბაღების შენობებზე მიშენების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე საპროექტო ჯგუფის მიერ 2015 წლის 6, 7, 8 და 9 მარტს ჩატარებულ იქნა შემდეგი ტიპის სამუშაოები:

– საბავშვო ბაღების ტერიტორიათა ვიზუალური დათვალიერება და არსებული მდგომარეობის ფოტოფიქსაცია.

– საბავშვო ბაღების საკადასტრო მონაცემების შესაბამისად საპროექტო ტერიტორიათა ტოპოგრაფიული აზომვითი სამუშაოები.

ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე მიგვაჩნია, რომ NN 9, 2 და 8 საბავშვო ბაღებზე რიგი მიზეზების გამო მიშენება არ არის მიზანშეწონილი, კერძოდ: მოშენების განხორციელებით ზიანდება ნარგავები და არ შეესაბამება სამშენებლო ნორმებს. ამდენად, აღნიშნულ საბავშვო ბაღებზე მიშენების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ნაცვლად გთხოვთ, განგვისაზღვროთ სხვა, იმავე რაოდენობის საბავშვო ბაღებზე მიშენების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თქვენს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ჩვენი მხრიდან დამატებით საჭირო იქნება იმავე ტიპის სამუშაოების ჩატარება ახლად განსაზღვრულ საბავშვო ბაღებზე. შესაბამისად, წარმოიშვება ჩვენს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში სათანადო ცვლილების შეტანის და საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციათა მოწოდების ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის გაგრძელების აუცილებლობა.

პატივისცემით,

ი/მ. „ კობა კაცაძე"–ს მთავარი არქიტექტორი: მ. კაკაურიძე

01-91
12 03 2015 წ.

01-1422
10 03 2015 წ.